როგორ შევუწყოთ ხელი ეფექტური კითხვის უნარების განვითარებას დაწყებით საფეხურის მე-2 კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში

/კვლევის ანგარიში/

ლელა გიგილოშვილი-ჩალათაშვილი

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლა

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ლელა გიგილოშვილი-ჩალათაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში 2018-2019 სასწავლო წელი

2018-2019. სასწ. წ.

სარჩევი

შესავალი ---------- 4 გვ.

თავი I.---------- -5 გვ.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა ---------- 5გვ

1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ ---------- 5 გვ.
1.2 პრობლემის აქტუალობა და საკვლევი საკითხი ----------6 გვ
1.3 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მზეზები----------7 გვ
1.4 კვლევის მიზანი ---------- -----8 გვ.
1.5 კვლევის ამოცანები ----------9 გვ.

თავი II ----------9 გვ.

ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 9 გვ.

თავი III---------- --14 გვ

კვლევის დიზაინი

3.1ძირითადი საკვლევი კითხვები----------14 გვ.

3.2.სამიზნე ჯგუფი----------15 გვ.

3..3კვლევის მეთოდები----------15 გვ.

3.4.მონაცემთა ანალიზი ----------17 გვ.

3.5. ინტერვენციები/ჩარევა ---------- 21 გვ.

3.6. ინტერვენციების შეფასება ---------- 265გვ.

3.7.რეკომენდაციები ----------27 გვ

3.8.თვითკრიტიკა---------- 28 გვ.

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ლელა გიგილოშვილი-ჩალათაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში 2018-2019 სასწავლო წელი

თავი IV ----------28 გვ.

4.1.დასკვნა ----------28გვ.

4.2. რეფლექსია/კოლეგებთან გაზიარება----------30 გვ.

4.3. კვლევის კალენდარი----------31 გვ

4.3.ბიბლიოგრაფია ----------32 გვ.

დანართი 1.მოსწავლეთა გამოკითხვის ანკეტა----------33 გვ.

დანართი 2.მშობელთა გამოკითხვის ანკეტა----------35 გვ.

დანართი 3.ბიბლიოთეკარის გამოკითხვის ანკეტა----------37 გვ.

დანართი 4.კითხვის კალენდარი----------39 გვ.

დანართი 5.სიტყვების წაკითხვის ფურცელი----------40 გვ.

დანართი 6.ტექსტის წაკითხვა----------41 გვ.

დანართი 7.ფსევდოსიტყვების წაკითხვის ფურცელი----------42 გვ.

დანართი 8.განმეორებითი წაკითხვის აღრიცხვის ფურცელი----------43 გვ.

შესავალი

ნაშრომი წარმოადგენს სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელ ლელა გიგილოშვილ-ჩალათშვილის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს ეფექტური კითხვის უნარების დონის დადგენას დაწყებით საფეხურზე და მისი ამაღლებისთვის დაგეგმილი და ჩატარებული ინტერვენციები, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დადგენილი რეკომენდაციები მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის.

თანამედროვე საზოგადოების სრულყოფილ წევრად ჩამოყალიბების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება, ამისათვის კი აუცილებელია მოსწავლეებში კითხვისა და წერის უნარების განვითარება, რასაც საფუძველი დაწყებითი კლასებიდან უნდა ჩაეყაროს. როგორც კვლევებით დასტურდება, მოსწავლეებში ზოგადი განათლების დონე ძალიან დაბალია. პრობლემა ძალიან სერიოზულია, მითუმეტეს ვიცით, რომ კითხვა განსაკუთრებულ ეფექტს ახდენს მოზარდის შესაძლებლობებზე. თუ მოსწავლეში კითხვის უნარი მაღალია, მას შეუძლია უკეთესად იაზროვნოს, იმსჯელოს, მისთვის იოლია ინსტრუქციის აღქმა და გაგება. კითხვა დადებით გავლენას ახდენს მოზარდის მეხსიერებასა და აზროვნებაზე, ამდიდრებს მის ლექსიკურ მარაგს, აუმჯობესებს წერით უნარებს, სუსტი კითხვის უნარის მოსწავლეს კი, რომელსაც უჭირს სიტყვის დეკოდირება, სიტყვის ხატის აღქმა, პრობლემა ექმნება შემდგომში ტექსტის გაგება-გააზრებაში, რის შედეგადაც ის კარგავს სწავლისადმი მოტივაციას და, შესაბამისად, სწავლის დონეც კლებულობს. კვლევის მიზანია, ასევე, კრიტიკულად შევაფასო საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა, რათა შემდგომში გავაუმჯობესო ის და ავიმაღლო საკუთარი პროფესიული უნარები.

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ლელა გიგილოშვილი-ჩალათაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში 2018-2019 სასწავლო წელი

კვლევა შედგება ოთხი თავისგან, პირველ თავში მოცემულია მოკლე ინფორმაცია კლასის შესახებ, საკვლევი თემის აქტუალურობა და მნიშვნელობა, კლასში იდენტიფიცირებული პრობლემა, მისი გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, კვლევის ძირითადი მიზანი და მისი ამოცანები. მეორე თავი დათმობილი აქვს ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვას, მესამე თავში განხილულია კვლევის მეთოდები და ვადები, ინტერვენციები, მათი შედეგები და შეფასება, მონაცემების ანალიზი და კვლევის შედეგები, კვლევის მიგნებები, მათგან გამომდინარე რეკომენდაციები და თვითკრიტიკა. მეოთხე თავი დათმობილი აქვს დასკვნას, რეფლექსიას, ბიბლიოგრაფიას და დანართებს.

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის დაწყებითი საფეხურის მე-2 კლასის შესახებ

მე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების და ქიმიის პედაგოგი გახლავართ. დაწყებით საფეხურზე ვასწავლი მე-2 კლასს, გახლავართ კლასის დამრიგებელი, უფროსი მასწავლებელი. კლასში ირიცხება 14 მოსწავლე, 8 გოგონა და 6 ბიჭი. აქედან ერთი მოსწავლე გადაყვანილია ინდივიდუალურ სწავლებაზე, მისთვის ყველა კლასში შემსვლელ მასწავლებელს შედგენილი აქვს ისგ და ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს სწავლება. პრაქტიკული კვლევის ჩატარება გადავწყვიტე სწორედ ჩემს სადამრიგებლო კლასში, რადგან მათ უკვე მეორე წელია ვასწავლი და კარგად ვიცნობ მათ შესაძლებლობებს, ანუ სამიზნე ჯგუფი არის მე-2 კლასი.

ქიმიას 2018 წლიდან ვასწავლი მე-9, მე-10 კლასებში. ქიმიის სწავლებისას შევხვდი სამწუხარო რეალობას, მაღალ კლასებში მოსწავლეები, გამონაკლისის გარდა, ცუდად კითხულობენ, შესაბამისად, უჭირთ ტექსტის, სავარჯიშოების ინსტრუქციის გაგება-გააზრება, უჭირთ ან საერთოდ ვერ ასრულებენ დავალებას, მათი მოტივაცია დაბალია და, აქედან გამომდინარე, მათი ცოდნის დონეც შესაბამისია. აქ მიზეზი ისევ და ისევ, ჩემი აზრით, კითხვის უნარების არქონაა. სწორედ ამიტომ, მიზნად დავისახე, გამომეკვლია რა იყო ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი. რადგან კითხვის უნარის ჩამოყალიბება ხდება დაწყებით საფეხურზე, ამიტომ ამ უნარის განვითარებაში უდიდესი როლი მასწავლებელს აკისრია.
წარმოდგენილ კვლევაში განხილულია ამ პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, ინტერვენციები, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები.

კვლევა მიმდინარეობდა 2018-2019 სასწავლო წელს მე-2 სემესტრში დაწყებითი საფეხურის მე-2 კლასში, კვლევა ჩაატარა ბადიაურის საჯარო სკოლის მასწავლებელმა ლელა გიგილოშვილი-ჩალათაშვილმა.

1.2.პრობლემის აქტუალობა და საკვლევი საკითხი

21-ე საუკუნეში, როდესაც მოსწავლე-ახალგაზრდობის უმრავლესობა წიგნის კითხვას კომპიუტერთან მეგობრობას ამჯობინებს, დამეთანხმებით, ძალიან რთულია მათში კითხვის სურვილის გაღვივება და დაინტერესება, ამას თან ერთვის ისიც, რომ ოჯახი ბავშვს ვეღარ აძლევს წიგნის კითხვის მაგალითს სხვადასხვა გარემოებათა გამო. ჩემი მიზანი კი სწორედ ესაა, გავუღვივო ჩემს პატარებს კითხვის ინტერესი, განუვითარო მათ ეფექტური კითხვის უნარები, გავუადვილო ტექსტის გაგება-გააზრება, გავუმდიდრო ლექსიკური მარაგი, ავამაღლო მათი ცოდნის დონე, რათა შემდგომში საზოგადოებამ მიიღოს განათლებული, წიგნიერი და სრულფასოვანი მოქალაქე.

ეროვნულ სასწავლო გეგმაშიც მოცემულია, რომ „ კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს“.

ამრიგად, საკვლევი საკითხი მეტად აქტუალურია, როგორც მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებისთვის, ასევე, მასწავლებლის პედაგოგიური პრაქტიკის ეფექტიანობის ზრდისათვის.

საკვლევი საკითხი ჩამოვაყალიბე შემდეგნაირად: ,,როგორ შევუწყოთ ხელი ეფექტური კითხვის უნარების განვითარებას დაწყებით საფეხურის მე-2 კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში".

1.3.პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

ამ პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები ჩამოვაყალიბე შემდეგნაირად:

1. მოსწავლეები არ კითხულობენ სახლში კლასგარეშე ლიტერატურას;
2. მოსწავლეები სახლში არ კითხულობენ ხშირად და ხმამაღლა.
3. მშობლები არ აკითხებენ და არც თავად უკითხავენ შვილებს მხატვრულ ლიტერატურას,
4. ბიბლიოთეკიდან გატანილ ლიტერატურას მოსწავლეები სრულყოფილად არ კითხულობენ.

სარგებელი მოსწავლეებისათვის:

ამ კვლევის შედეგად გაიზრდება მოსწავლეთა დაინტერესება კითხვის მიმართ, განუვითარდებათ ეფექტური კითხვის უნარები, გაიზრდება მათი ლექსიკური მარაგი, რაც შემდგომში ტექსტის გაგება-გააზრების საწინდარი გახდება, გაიზრდება მათი მოტივაცია და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, შესაბამისად, გაიზრდება სწავლის დონე, ხარისხი და აკადემიური მაჩვენებელი.

სარგებელი კოლეგა მასწავლებლებისთვის:

კვლევის შედეგად აღმოჩენილი მიგნებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე ჩემი კოლეგები გაიზიარებენ ჩემს გამოცდილებას, ეს მათ დაეხმარება საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის გაუმჯობესებაში და მსგავსი პრობლემების აღმოფხვრაში. კვლევის შედეგად გაზიარებული გამოცდილებების საფუძველზე ამ კლასში შემსვლელი სხვა საგნის მასწავლებლები შეეცდებიან აქტიურად გამოიყენონ ის მეთოდები და აქტივობები საგაკვეთილო პროცესში, რომლებმაც მე სასურველ შედეგზე გამიყვანა.

სარგებელი მკვლევარი მასწავლებლისთვის:

ამ კვლევის შედეგები ძალიან მნიშვნელოვანი და ბევრის მომცემი იქნება ჩემთვის, რადგან კვლევის შემდეგ გავიუმჯობესებ ჩემი, როგორც პედაგოგის, უნარ-ჩვევებს, ავიმაღლებ პროფესიულ უნარებს, კვლევის შემდგომი რეკომენდაციები კი დამეხმარება, რათა შემდგომში მუშაობისას ყოველთვის გავითვალისწინო გამოცდილებების შედეგები.

1.4. კვლევის მიზანი

კვლევის მთავარი მიზანია: როგორ დავეხმარო დაწყებითი საფეხურის მე-2 კლასის მოსწავლეებს კითხვის ეფექტური უნარების განვითარებაში.

1.5.კვლევის ამოცანები

- მოსწავლეთა სკრინინგი და დიაგნოსტირება;

- ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა;
- მოსწავლეთა, მშობელთა, ბიბლიოთეკარის გამოკითხვა;
- მონაცემის შეგროვება და ანალიზი;
- გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა;
- ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება;
- ინტერვენციების შემდგომი რეკომენდაციები მოსწავლეებს და მშობლებს;
- განმეორებითი დიაგნოსტირება;
- მეორადი მონაცემების ანალიზი
- შედეგების პრეზენტაცია;

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში ვკითხულობთ: ,,სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს , რომ საზოგადოებას მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა მეტყველება, მოსმენა) ‘’ რაც თავისთავად, გულისხმობს, რომ პიროვნებად ჩამოყალიბების ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს კითხვის უნარი, რათა მოზარდმა შეძლოს ინფორმაციის წაკითხვა, მისი გააზრება და შემდეგ მისი დახარისხება .(ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ქართული 2. მასწავლებლის წიგნი)

წიგნში ,,ბავშვთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები ‘’ (ავტორი მანანა მელიქიშვილი) ნათქვამია, რომ კითხვა და წერა სიმბოლური კომუნიკაციიის ფორმებია, რომელთათვისაც საჭიროა ყურადღების აღქმის, აზროვნებისა და მეხსიერების განვითარების გარკვეული დონე. ბავშვის წიგნიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სოციალური და კულტურული ფაქტორები, როგორც ლ. ვიგოსტიკი ამბობს, პატარები სწავლობენ კითხვას მშობლებთან, და - ძმასთან , მასწავლებელთან, უფროსებთან ურთიერთობის საფუძველზე, სწორედ ამიტომაც საჭიროა, რომ მასწავლებელმა წაკითხვის შემდეგ დასვას შეკითხვები, ისაუბროს პატარებთან წაკითხულის შინაარსის შესახებ, გაიგოს, როგორ და რა გაიგეს წაკითხული მასალიდან. ასეთი კომუნიკაცია მეტად მნიშვნელოვანია წიგნიერების განვითარებისათვის, რადგან ამ დროს ყალიბდება კავშირი ბავშვების უკვე არსებულ დონესა და იმას შორის, რასაც ახლა კითხულობს (მ. მელიქიშვილი ,,უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები.“ მეტყველება გვ. 26)

კითხვის სწავლების მთავარი მიზანი, რა თქმა უნდა, წაკითხულის გაგება-გააზრებაა, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მონაწილეობას კითხვის პროცესში, რომელიც სამი ეტაპისაგან შედგება: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროს და კითხვის შემდეგ. მოსწავლე თანდათანობით უნდა დაეუფლოს კითხვის ტექნიკას, მისი სრულყოფის შემდეგ კი მას საშუალება აქვს გახდეს გაწაფული მკითხველი .შემდეგ კი გაიგოს და გაიაზროს წაკითხულიც.

მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, I- IV კლ სტანდარტის მოთხოვნები რომ შესრულდეს, ძირითადი აქცენტები უნდა გაკეთდეს ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე. ზეპიმეტყველების, კითხვის და წერის კულტურის გამომუშავებაზე. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს , თუ როგორ წარიმართება მუშაობა, რადგანაც სასურველია, რომ მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს პოზიტიური

დამოუკიდებლობა კითხვისა და ზოგადი სწავლის მიმართ (ქართული 2. მასწავლებლის წიგნი გვ. 7-8)

მეორე კლასის ე.ს.გ. ქართული ენის სტანდარტში, მიმართულება "კითხვა"- ვკითხულობთ: **ქართ.დაწყ.(I).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა. გაწაფული კითხვისთვის კი აუცილებელია , რომ მოსწავლემ შეძლოს სიტყვის ამოცნობა, დეკოდირება, კითხვა სათანადო პაუზებით, ინტონაციებით, გარკვევით და ხმამაღლა.

ია კუტალაძე გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილ კრებულში ,,წიგნიერება" აღნიშნავს, რომ კითხვის მოქნილობა გულისხმობს ტექსტის სწორად და სწრაფად წაკითხვას. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ის არის დამაკავშირებელი ხაზი სიტყვის ამოცნობასა და მათი მნიშვნელობის გაგებას შორის. მოქნილობა იცვლება იმის მიხედვით, ნაცნობ თუ უცნობ ტექსტს კითხულობს მოსწავლე, ან უცნობია და რთულია სიტყვები. როგორც აღმოჩნდა, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული შეფასების მიხედვით, მე-4 კლასის მოსწავლეთა 44% ხასიათდება მოქნილობის დაბალი ხარისხით და, აქედან გამომდინარე, წაკითხულის გააზრების სუსტი უნარი აქვთ. ეს უნარები კი ძალიან მტკიცე კავშირშია ერთმანეთთან.

ამერიკელ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული ასაკობრივი ნორმების მიხედვით, პირველი კლასის ბოლოს მოსწავლის კითხვის სტანდარტი წუთში 60 სიტყვის სწორად წაკითხვა, მეორე კლასის ბოლოს კი 90-100 სიტყვა წუთში, მესამე კლასში კი -114 სიტყვა.(Put Reading first.the research building bklocks of Reading Instruction. National Institutete of Literacy .2003 .გვ 29)ანუ მოქნილობის ხარისხი მაღალია, თუ მეორე კლასის მოსწავლე კითხულობს წუთში 90სიტყვაზე მეტს. კითხულობს ინტონაციით, საჭირო პაუზებით. იგებს წაკითხულის შინაარსს.

,,კითხვის ეფექტური მეთოდები 3“- აღნიშნულია, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების გათვალისწინებით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოკვეთილი ცხრა გამჭოლი კომპეტენცია, რომელთა დაუფლება თანამედროვე მოსწავლისთვის აუცილებლობას წარმოადგენს, რათა ის დღევანდელ სამყაროში სრულფასოვან და თვითრეალიზებულ ადამიანად ჩამოყალიბდეს.

ამ პრიორიტეტულ 9 გამჭოლ კომპეტენციაში განსაკუთრებული ადგილი კი უკავია წიგნიერებას, რომელიც, ტრადიციული გაგებით ნიშნავს კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს. 21-ე საუკუნეში თანამედროვე გაგებით ამ ცნების შინაარსი გაცილებით ფართო გახდა. თანამდროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, ინფორმაციის დამუშავების, პრობლემის მოგვარებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი იმ შეძენილი ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს.

პატარა სანამ წიგნიერ მოქალაქედ ჩამოყალიბდება, თავდაპირველად ,დაახლოებით, სამი წლის ასაკიდან იწყებს ,,წერას“. მართალია, პირველად მისი ნაწერი ნაჯღაბნს უფრო ჰგავს, მაგრამ თანდათანობით გამოსახულებები ასოებს ემსგავსება. ეს პირველი მცდელობა ღირებული და მნიშვნელოვანი წიგნიერი ქცევაა, ბავშვი ამ დროს იწყებს საკუთარი ნააზრევის გადატანას ფურცელზე, მისი მოტორიკა ნელ-ნელა ვითარდება და როცა ბავშვი ფიქრობს, თუ როგორ გადმოსცეს წერილობითი სახით საკუთარი ნააზრევი, იგი კითხვის დაწყებისთვის ემზადება. ეს კი შემდგომში კითხვის უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხშირად წავუკითხოთ ბავშვებს, ამით ჩვენ მას ვეხმარებით კოგნიტური უნარების განვითარეაში და ვაჩქარებთ მის მკითხველად

ჩამოყალიბებას.(კითხვის ეფექტური მეთოდები 3. დაწყებითი, ემერჯენტული წიგნიერება. გვ.14-15.)

,,კითხვის ეფექტური მეთოდები“- სასწავლო მეთოდურ გზამკვლევში განხილულია წიგნიერების განვითარების ძირითადი ასპექტები.ესენია:

- ზეპირი მეტყველებ;
- წიგნისა და ტექსტის მახასიათებლების ცოდნა;
- ფონეტიკური ცოდნა;
- ლექსიკური მარაგი;
- მთლიანი სიტყვების ამოცნობა;
- გამართული კითხვა;
- გაგება-გააზრება.

გამართული კითხვის ასპექტი გულისხმობს უშეცდომოდ და სწრაფად კითხვას. მოსწავლე კითხულობს გამართულად, სასვენ ნიშნებთან მცირე პაუზებს აკეთებს და კითხულობს ინტონაციებით. თავად გამართული, მოქნილი კითხვა კი არის ხიდი სიტყვის ამოცნობასა და გაგება-გააზრებას შორის, ამიტომაც გამართული, გაწაფული კითხვის მეთოდებს და მის სწავლებას მასწავლებელმა უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს. ის ბავშვები, რომლებიც გამართულად ვერ კითხულობენ, ცუდი შედეგის წინაშე არიან. ისინი , სამწუხაროდ მთელი ცხოვრების მანძილზე ცუდ მკითხველებად რჩებიან.

G-pried-ის სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებულში ,,კითხვისა და წერის ეფექტური მეთოდები დაწყებით საფეხურზე“ აღნიშნულია, რომ გამართული კითხვა არ არის გააზრების გარანტია, მაგრამ ეს პროცესი ძნელდება, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს გაწაფულად კითხვას, როდესაც ბავშვი უცხო

სიტყვების წაკითხვისას ყოვნდება, ეს ანელებს გააზრების პროცესს და ის დამღლელი და უინტერესო ხდება. როდესაც პატარა მკითხველი უკვე გაიწაფება კითხვაში, ის უკვე ორიენტირდება ანალიზზე, შეუძლია ჩაეძიოს ცალკეულ საკითხს, მოახდინოს ინტერპრეტაცია, გააკეთოს სათანადო დასკვნები, დასვას შესაბამისი შეკითხვები.

გაწაფული, ეფექტური კითხვა იზომება წუთში სწორად კითხული სიტყვების რაოდენობით (წსწს). მეორე კლასში მოსწავლე უკვე მნიშვნელოვან შედეგს აღწევს ეფექტურ კითხვაში. ის უკვე ტექსტში ადვილად ცნობს სიტყვებს და უადვილდება უცხო სიტყვების წაკითხვა, თანაც ამ ყველაფერს ის უკვე სწრაფად აკეთებს. გაწაფული, ეფექტური კითხვისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ თავად იცოდეს, თუ როგორია კარგი მკითხველი, ან რა არის ეფექტური კითხვა, რა შეუძლია ეფექტურ მკითხველს და რა მიზანს ვაღწევთ კითხვის გაწაფვის გზაზე.

თავი III

კვლევის დიზაინი

3.1 ძირითადი საკვლევი კითხვები

კვლევის მთავარი კითხვაა- როგორ შევუწყოთ ხელი ეფექტური კითხვის უნარების განვითარებას მოსწავლეებში დაწყებითი საფეხურის მეორე კლასში.

მთავარ კითხვაში დასმული პრობლემის დაძლევის მიზნით შევიმუშავე შემდეგი ქვეკითხვები:

1.როგორ დავადგინო ამჟამინდელი კითხვის დონე მოსწავლეებში?

2.რა მეთოდები და აქტივობები დამეხმარება კლასში ეფექტური კითხვის უნარების განვითარებაში?

3.რა ღონისძიებები დავსახო კლასში კითხვის ეფექტური უნარის ამაღლებისთვის?

5.შეფასების რომელი ინსტრუმენტები დამეხმარება მოსწავლეთა პროგრესის გასაზომად?

6.როგორ ჩავრთო მშობლები ეფექტური კითხვის უნარის განვითარების ხელშეწყობაში?

3.2 სამიზნე ჯგუფი

1.დაწყებითი საფეხურის მე-2 კლასის მოსწავლეები;

2.მოსწავლეთა მშობლები;

3. სკოლის ბიბლიოთეკარი;

3.3 კვლევის მეთოდები

კვლევის წარმატებით განხორციელებისათვის გამოვიყენე: რაოდენობრივი (ანკეტირება) და თვისობრივი (ფოკუსირებული დაკვირვება, შერჩევითი დაკვირვება,) მეთოდები.

მეორე სემესტრის დასაწყისში დავიწყე ფოკუსირებული დაკვირვება, რომლის მიზანი იყო მოსწავლეების სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა. ამისთვის ჩავატარე დიაგნოსტიკური ტესტირებები კლასში (გამოვიყენე ჯიპრაიდის ტესტები

პორტალიდან kargiskola). ტესტებმა საშუალება მომცა გამეზომა მოსწავლეებში ეფექტური კითხვის უნარები. კერძოდ, რამდენად ჰქონდათ განვითარებული ფონოლოგიური უნარებ-ჩვევები, რამდენად ახერხებდნენ სიტყვის დეკოდირებას, რამდენად სწრაფად კითხულობდნენ და როგორ იცავდნენ სასვენ ნიშნებს, ახერხებდნენ თუ არა ინტონაციის დაცვას კითხვის დროს.

შერჩევითი დაკვირვების ეტაპზე ერთი თვის განმავლობაში ვაკვირდებოდი იმ მოსწავლეებს, რომლებმაც დიაგნოსტიკურ ტესტირებაზე სიტყვების დეკოდირებაში, ფსევდო სიტყვების კითხვაში აღმოჩნდნენ რისკის ზონაში და დაკვირვების შედეგებს ვიწერდი კვლევის დღიურში.

ამის შემდეგ მოსწავლეებში ჩავატარე ანკეტირება , რომელიც დამეხმარა გამეგო, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მათ კითხვისადმი, რამდენად ხშირად კითხულობდნენ კლასგარეშე ლიტერატურას, ჰქონდათ თუ არა მათ სახლში შესაბამისი ლიტერატურა, რამდენად ხშირად სტუმრობდნენ სკოლის ბიბლიოთეკას, რომელი ჟანრის ლიტერატურას ანიჭებდნენ უპირატესობას, უკითხავდნენ თუ არა მშობლები მათ ... ეს დამეხმარა შემდგომში მშობელთა გამოკითხვის ანკეტირების მომზადებაში. მშობელთა ანკეტირების დროს აქცენტი გავამახვილე მნიშვნელოვან საკითხებზე, კერძოდ კი იმაზე, როგორია სახლში წიგნიერი გარემო, კითხულობენ თუ არა ბავშვები სახლში დამოუკიდებლად, კითხულობენ თუ არა ხმამაღლა, უკითხავენ თუ არა სახლში მშობლები წიგნებს ბავშვებს, არის თუ არა წაკითხული წიგნები მათი ასაკისთვის შესაბამისი, ეკითხებიან თუ არა წაკითხული წიგნების შესახებ ისინი ბავშვებს. ანკეტა მშობელთა კრებაზე თითოეულმა მშობელმა შეავსო ინდივიდუალურად. ანკეტირების მიზანი იყო გამომერკვია, რამდენად იყვნენ ჩართული მშობლები მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესში, ან კითხულობდნენ თუ არა ერთად. ბოლოს კი მოვახდინე სკოლის ბიბლიოთეკარის ანკეტირება, რათა

გამეგო, იყო თუ არა ბიბლიოთეკა მათი ასაკის შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურით აღჭურვილი, ირჩევდნენ თუ არა ისინი შესაბამის ლიტერატურას ან ეხმარებოდათ თუ არა ბიბლიოთეკარი მათ წიგნის არჩევაში, რა პრინციპით ურჩევდა წიგნებს ის ბავშვებს, როგორ ამოწმებდა- წაიკითხა თუ არა შერჩეული წიგნი მოსწავლემ და სხვა.

3.4.მონაცემთა ანალიზი

ანკეტირების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების უმეტესობას მშობლები სახლში უკითხავენ, მცირე ნაწილი კი თავად კითხულობდა, ასევე გამოირკვა, რომ მხოლოდ სამი მოსწავლე კითხულობდა სახლში ხმამაღლა. ზოგიერთ ბავშვს სახლში არ ჰქონდა შესაბამისი საბავშვო ლიტერატურა, ზოგი ბავშვი კი მხოლოდ ნახატების დათვალიერებით კმაყოფილდებოდა, გამოირკვა ასევე, რომ მშობელთა უმეტესობა ვერ ახერხებდა წაკითხულის შემოწმებას. ბიბლიოთეკარის გამოკითხულიდან გავარკვიე, რომ მოსწავლეების ნაწილი სახლში წაღებული ლიტერატურის მხოლოდ დათვალიერებით შემოიფარგლება, ნაწილს მშობლები უკითხავენ ლიტერატურას, წიგნების შერჩევისას კი მოსწავლეები თავად ირჩევენ ან სხვისი რჩევით გააქვთ ლიტერატურა ბიბლიოთეკიდან და ზოგჯერ აღარ კითხულობენ ბოლომდე გატანილ წიგნებს.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ფოკუსირებული დაკვირვებისას გამოვიყენე ტესტები დიაგნოსტიკური ტესტირებისთვის. ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 13-მა მოსწავლემ. ტესტირება ჩატარდა 4 მიმართულებით: სიტყვების წაკითხვა, ტექსტის წაკითხვა, ფსევდოსიტყვების წაკითხვა და განმეორებითი კითხვა. ტესტირების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სიტყვების კითხვის მიმართულებით სარისკო ზონაში

აღმოჩნდა 4 მოსწავლე, საშუალო მონაცემები აღმოაჩნდა 6 მოსწავლეს, კარგი კი- 3 მოსწავლეს. ტექსტის კითხვისას მიღებული შედეგები ასეთია: სარისკო ზონაში მოხვდა 3 მოსწავლე, საშუალო ზონაში 6 მოსწავლე, კარგი შედეგები კი 4 მოსწავლემ აჩვენა. ფსევდოსიტყვების წაკითხვის შედეგები ასეთია: სარისკო ზონა-3 მოსწავლე, საშუალო შედეგები-5 მოსწავლე, კარგი შედეგები-5 მოსწავლე. ეს შედეგები ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან ვფიქრობდი , რომ ფსევდო სიტყვების წაკითხვა მათ უფრო გაუჭირდებოდათ, ვიდრე სიტყვების. განმეორებითი კითხვის შედეგები ასე გამოიყურება: სარისკო ზონა-3 მოსწავლე, საშუალო ზონა-4 მოსწავლე, კარგი მაჩვენებელი-6 მოსწავლე. ქვემოთ წარმოდგენილია მონაცემთა ანალიზი წრიული დიაგრამის სახით, სადაც ნათლად ჩანს შედეგები.



ნახაზი 1.სიტყვების კითხვა. გამოიკითხა 13 მოსწვლე.

სარისკო ზონა 4 მოსწავლე,

საშუალო- 6 მოსწავლე,

კარგი შედეგი- 3 მოსწავლე.



ნახაზი 2.ტექსტის კითხვა. გამოიკითხა 13 მოსწავლე

სარისკო ზონა- 3 მოსწავლე,

საშუალო ზონა-6 მოსწავლე,

კარგი შედეგები- 4 მოსწავლე.



ნახაზი 3. ფსევდოსიტყვების წაკითხვა. გამოიკითხა 13 მოსწავლე.

სარისკო ზონა-3 მოსწავლე,

საშუალო შედეგები-5 მოსწავლე,

კარგი შედეგები-5 მოსწავლე.



ნახაზი 4. განმეორებითი კითხვა. გამოიკითხა 13 მოსწავლე.

სარისკო ზონა-3 მოსწავლე,

საშუალო ზონა-4 მოსწავლე,

კარგი მაჩვენებელი-6 მოსწავლე.

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ლელა გიგილოშვილი-ჩალათაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში 2018-2019 სასწავლო წელი



ნახაზი 5.დიაგნოსტირების შედეგების შედარებითი მაჩვენებელი. გამოკითხულია 13 მოსწავლე.

3.5. ინტერვენცია/ჩარევა

კვლევის ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე დავგეგმე შემდეგი ინტერვენციები:

1.მეთოდური ლიტერატურის გაცნობა.

2.კლასგარეშე ღონისძიებებში მშობელთა ჩართულობა(სარვამარტო და ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე პროექტის ,,ვუკითხავთ ბავშვებს“ განხორციელება)

3. კლასში ყოველკვირეული კითხვის საათი;

4. მჭიდრო კავშირი სკოლის ბიბლიოთეკასთან;

5.კითხვის კალენდარი სახლში კითხვისა და მონიტორინგისთვის;

6.გაკვეთილზე ისეთი მეთოდების, აქტივობების შერჩევა, რომელიც გაგვიყვანდა ეფექტური, მოქნილი კითხვის განვითარებაზე.

7.ეფექტური მკითხველის თვითშეფასების რუბრიკა გაკვეთილზე.

8.ელექტრონული წიგნების გამოყენება გაკვეთილებზე უფრო მეტი სიხშირით.

გავეცანი მეთოდოლოგიურ ლიტერატურას, მათ შორის განსაკუთრებით მინდა გამოვყო G-PRIED-ის სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, რომელიც სახელმძღვანელოა იყო ჩემთვის და ჩემი მოსწავლეებისთვისაც. დიაგნოსტირებისთვის გამოვიყენე მათი ტესტები, ძირითადად გამოვიყენე სიტყვების, ფსევდოსიტყვების, ტექსტის კითხვის და განმეორებითი კითხვის ტესტები. ასევე ვიყენებდი მათ სამუშაო ფურცლებს, კითხვის საათზე კი მათ საკითხავ წიგნებს.

გამოვიყენე ირინა სამსონიას სახელმძღვანელო „წიგნიერება“, რომელიც განკუთვნილია იმ ბავშვებისთვის, რომლებმაც სათანადოდ ვერ აუწყვეს ფეხი სასწავლო პროცესს და ამიტომ კითხვაში გარკვეული პრობლემები შეექმნათ.

ბავშვებს დავურიგე G-pried-ის ყოველდღიური კითხვის კალენდარი, მათ ყოველდღე უნდა ეკითხათ ხმამაღლა 15 წუთი და კალენდარში გაეკეთებინათ სათანადო აღნიშვნა. კალენდარში ისინი ინიშნავდნენ წუთების რაოდენობას, კვირის ბოლოს კი ჯამდებოდა წაკითხული წუთები. ეს გარკვეული სტიმული აღმოჩნდა ბავშვებისთვის, გარდა იმისა, რომ ისინი კითხულობდნენ ხმამაღლა, მათ ჩამოუყალიბდათ სისტემატიური კითხვის მოთხოვნა. მათი მოტივაცია იყო მაღალი,

რადგან თითოეულს სურდა, რომ კითხვის კალენდარში ყოველდღიური შედეგები ყოფილიყო ასახული. მშობლებსაც საშუალება ჰქონდათ თვალი ედევნებინათ შვილების კითხვის პროცესისთვის და გაეწიათ მათთვის სათანადო დახმარება.

საგაკვეთილო პროცესში ვიყენებდი ისეთ აქტივობებს, რომელიც გამიყვანდა ეფექტური, გაწაფული კითხვის უნარის განვითარებაზე, კერძოდ კი გაკვეთილის ასხნისას ხშირად ვიყენებდი ხმამაღლა საჩვენებელ კითხვას, გაწაფული კითხვის პარალელურად კი ხშირად ვიყენებდი მეთოდს ,,შეცდომებით კითხვა“, მოსწავლეები მობილიზებულნი იყვნენ, რათა ჩემ მიერ წაკითხულ ტექსტში აღმოეჩინათ შეცდომები. საგაკვეთილო პროცესის დროს მოსწავლეები ხშირად იყვნენ ჩართული გაწაფული კითხვის მართულ პრაქტიკაში, როგორც წესი, მართული პრაქტიკა გულისხმობს მკითხველისთვის მასწავლებლის და თანაკლასელების უკუკავშირს, ეს მეთოდი მოსწავლეებს ეხმარებოდა ერთდროულად მიეღო უკუკავშირი მასწავლებლიდანაც და მეგობრებიდანაც, ამ დროს იგი უფრო მობილიზებულია და ორმაგ პასუხისმგებლობას გრძნობს. გაკვეთილის ახსნის დროს ხშირად ვიყენებდი ექოდ კითხვას და წყვილებში კითხვას. წყვილებში კითხვის დროს მოსწავლეები ჯერ ჩუმად კითხულობდნენ მეწყვილისთვის წასაკითხ მონაკვეთს, შემდეგ კი იწყებდნენ ხმამაღლა მეწყვილისთვის წაკითხვას, მსმენელი მოსწავლე ყურადღებით უსმენდა , შემდეგ კი წაკითხულზე აკეთებდა კომენტარს და აძლევდა რჩევებს მეგობარს, კომენტარის დროს მოსწავლე ორმაგად პასუხისმგებელი იყო, რადგან იგი ამ დროს ასრულებდა მასწავლებლის როლსაც. კითხვის სავარჯიშოების დროს მოსწავლეებს ვაძლევდი მკაფიო ინსტრუქციებს იმაზე, რომ ორიენტირებულები უნდა ყოფილიყვნენ ასევე ტექსტის გაგება-გააზრებაზეც, რადგან ზოგადად კითხვის უნარის გაუმჯობესებაზე ორიენტირება უფრო კარგ შედეგს იძლევა, ვიდრე მხოლოდ კითხვის სიჩქარის გაზრდაზე ორიენტირება.ძალიან კარგი შედეგები მომცა კლასში ტექსტების

განმეორებით კითხვამ. ტექსტებს ვარჩევდი დიფერენცირებულად. კარგი მკითხველებისთვის შერჩეული ტექსტები მათი დონისთვის იყო შესაბამისი, სარისკო ზონაში მყოფი მოსწავლეებისთვის კი ვარჩევდი უფრო მარტივ ტექსტებს, განმეორებითი წაკითხვის შემდეგ ვაკეთებდით ჩანიშვნებს განმეორებითი კითხვის აქტივობის აღრიცხვის ფურცელში და მოსწავლეები საკუთარი თვალით ხედავდნენ პროგრესს. მოსწავლეებს მოტივაცია რომ არ დაჰკარგვოდათ, მთავარი, განმეორებითი კითხვის დროს იყო პროგრესი, წინსვლა.

იმის გასარკვევად, თუ როგორ გაიუმჯობესეს კითხვის უნარები, გაკვეთილზე ყოველდღიურად ვიყენებდით გაწაფული კითხვის თვითშეფასების რუბრიკას, სადაც ყველაფერი დაწვრილებით იყო გაწერილი. კლასში თვალსაჩინო ადგილას მოვათავსეთ საკლასო პოსტერი გაწაფული კითხვის თვითშეფასებისთვის. მოსწავლეები კითხვის დროს ყოველთვის მობილიზებულნი იყვნენ, თავად აფიქსირებდნენ საკუთარ შეცდომებს და მომდევნო გაკვეთილზე ცდილობდნენ, აღარ გაემეორებინათ წინა გაკვეთილზე დაშვებული შეცდომები.

ხშირად ვიყენებდი გაკვეთილებზე ჩემ მიერ PowerPoint-ის პროგრამაში მომზადებულ ელექტრონული წიგნებს, რაც მათთვის ძალიან სახალისო და საინტერესო იყო. ელექტრონულ წიგნებს ვკითხულობდით ერთობლივად. კლასში ასევე რამდენჯერმე მოვაწყვეთ მკითხველის თეატრი, სადაც ბავშვები კითხულობდნენ როლებში შესწავლილ ნაწარმოებებს. ამ აქტივობამ ძალიან კარგი შედეგი გამოიღო, რადგან მოსწავლეები ამ დროს მხოლოდ საკუთარ შედეგებზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ ცდილობდნენ, რომ ყველას კარგად წაეკითხა.

მშობლებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ჩავატარე მშობლებთან შეხვედრა, სადაც მათ მივაწოდე ინფორმაცია კვლევასთან დაკავშირებით. დავსახეთ სამომავლო გეგმები, კერძოდ, დავაწესე მშობლის დღე, ამ დღეს მშობლებს

სისტემატიურად ვაწვდიდი მოსწავლეთა მიღწევა/ წარუმატებლობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ყურადღებას ვამახვილებდი ისეთ თემებზე, როგორიცაა მშობლის როლი მოსწავლის სწავლა-სწავლების საკითხებში, მოსწავლეთა კითხვის პროცესისადმი ინტერესის ასამაღლებლად და მშობელთა აქტიურად ჩართვის მიზნით სარვამარტო და დედაენის დღის ღონისძიებებზე გავაკეთეთ პროექტი „ ვუკითხავთ ბავშვებს“, სადაც მშობლებმა თავად წაუკითხეს მოსწავლეებს ცნობილი მწერლების ნაწარმოებები, ლექსები, მოთხრობები.

სკოლის ბიბლიოთეკასთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. კვირაში ერთხელ ვსტუმრობთ და წაკითხული წიგნების ირგვლივ ვსაუბრობდით. ის აქტიურად ეხმარებოდა მოსწავლეებს წიგნების შერჩევაში, აძლევდა სათანადო რჩევებს, ურჩევდა მათი ასაკის შესაბამის ლიტერატურას, ამოწმებდა, კითხულობდნენ თუ არა ბავშვები ბიბლიოთეკიდან გატანილ წიგნებს.

3.6 ინტერვენციების შეფასება

დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციების ეფექტურობის შესამოწმებლად კვლავ ჩავატარე დიაგნოსტიკური ტესტირება ოთხივე მიმართულებით. სიტყვების წაკითხვაში შეიმჩნევა წინსვლა, ორმა მოსწავლემ გაიუმჯობესა კითხვა და ავიდნენ მაღალ ზონაში, საშუალო ზონაში დარჩა 4 მოსწავლე, ხოლო რისკის ზონაში 2 მოსწავლეა, თუმცა ისინი უკვე უკეთესად კითხულობდნენ

ინტერვეციებამდე, ინტერვეციების შემდეგ



დიაგრამა 6. სარისკო ზონის ცვლილება



დიაგრამა7.საშუალო ზონის ცვლილება



დიაგრამა 8.კარგი კითხვის ზონის ცვლილება

3.7. რეკომენდაციები

კვლევის მიმდინარეობის დროს მიღებულმა გამოცდილებამ და მოსწავლეთა შედეგებმა მაჩვენა, რომ მოსწავლეებში კითხვის დონის ამაღლების ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

1. მოსწავლის პროგრესის უწყვეტი მონიტორინგი;
2. საგაკვეთილო პროცესის დროს სწორად გამოყენებული აქტივობები;
3. მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობა;
4. წიგნიერი გარემოს შექმნა სკოლასა და სახლში;
5. კვლევის შედეგების კომპლექსური განხილვა კლასში შემსვლელ სხვა საგნის მასწავლებლებთან.

კვლევიდან ჩანს, რომ, მართალია, შედეგები გაუმჯობესებულია, მაგრამ მაქსიმალური შედეგების მიღწევამდე ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. აქედან გამომდინარე, შევიმუშავე რეკომენდაციები მოსწავლეებში ეფექტური კითხვის უნარის ამაღლების ხელშესაწყობად:

იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც დაბალი მაჩვენებელი აქვთ ეფექტური კითხვის უნარში, ხშირად გამოვიყენებ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა განმეორებითი კითხვის მეთოდი, შეცდომებით კითხვა, წყვილებში კითხვა და სხვა. ხშირად გამოვიყენებ საგაკვეთილო პროცესში ჩემ მიერ შექმნილ ელექტრონულ წიგნებს და ერთად გავახმოვანებთ მათ კლასში. გამოვიყენებ ჯიპრაიდის „ვიზუალურ სქემებს და გრაფიკულ ორგანიზატორებს“. მოვამზადებ ეფექტურ სასწავლო რესურსებს კითხვითი წიგნიერების უკეთ განვითარების მიზნით. ყველა გაკვეთილზე გამოვიყენებთ გამართული კითხვის თვითშეფასების რუბრიკას. გავაგრძელებთ ბიბლიოთეკასთან მჭიდრო კავშირს, წავიკითხავთ წიგნებს და განვიხილავთ. მშობელთან მექნება მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა და დავგეგმავთ სამომავლო გეგმებს. სისტემატურ სახეს მივცემთ სახლში წიგნის კალენდარის გამოყენებას. წიგნით მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით სკოლაში დავაარსებ „მკითხველთა კლუბს“. შევეცდები კლასში შევქმნა საკლასო ბიბლიოთეკა და კვირაში ერთხელ კვლავ გვექნება კლასში კითხვის საათი.

3.8.თვითკრიტიკა

კვლევის პროცესში ჩართული არ იყვნენ ინგლისურის და ბუნების მასწავლებლები, უკეთესი იქნებოდა, მოსწავლეთა კითხვის უნარზე დაკვირვება მათ გაკვეთილებზე რამდენჯერმე მაინც მომეხდინა , თუმცა ეს ვერ მოვახერხე დატვირთული საგაკვეთილო გრაფიკის გამო, თანაც ვფიქრობდი, რომ, რადგან კლასში ძირითად საგნებს მე თავად ვასწავლიდი, ეს აღარ დამჭირდებოდა. მომავალი კვლევისას აუცილებლად გავითვალისწინებ ამ ფაქტებს.

თავი IV

4.1 დასკვნა

ჩემ მიერ ჩატარებული პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შემიძლია გამოვიტანო დასკვნა, რომ მოსწავლეებში ეფექტური მკითხველის დაბალი უნარები მიზეზები შემდეგია:

- მოსწავლეებს სახლში შექმნილი აქვთ არაწიგნიერი ოჯახური გარემო;
- სკოლისა და მშობლის კავშირი არ არის ეფექტური და მჭიდრო;
- არ ხორციელდება დიფერენცირებული მოდგომა საგაკვეთილო პროცესში;
- თავდაპირველად ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეებში ეფექტური კითხვის უნარების გამომუშავებას, რომელიც საწინდარია შემდგომში მოსწავლეებში წიგნიერების განვითარებისა
- არ ხდება ხშირად საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების თვითშეფასება.

როგორც აღინიშნა, ჩემი საკვლევი საკითხი იყო „როგორ შევუწყოთ ხელი ეფექტური კითხვის უნარის განვითარებას დაწყებით საფეხურზე ქართულ ენაში“ . ამ პროცესის ამოსავალი წერტილია ეფექტური კითხვის უნარის კარგად განვითარება. თუ ამ პროცესს სწორი აქტივობებით დავგეგმავთ, გაგვიადვილდება მთავარ მიზნამდე მისვლა. ჩემ მიერ გატარებული იქნა კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა უმრავლესობა შედეგიანი აღმოჩნდა, მაგრამ ზოგიერთი მოსწავლის საბოლოო შედეგი მაინც არაა საკმარისი იმისთვის, რომ იგი იყოს კარგი მკითხველი. მოლოდინი იმისა, რომ ჩემ მიერ განხორციელებული კვლევისა და ინტერვენციების დასრულების შემდეგ ყველაფერი გამოსწორდებოდა, ნამდვილად არ მქონია, შედეგები არაა საუკეთესო, მაგრამ პროგრესი და მოსწავლეთა დაინტერესება ეფექტურად კითხვისა გაიზარდა და იმედი მაქვს, რომ ეს პროცესი იქნება უწყვეტი. იყო საკითხები, რომლებზეც ყურადღება ნაკლებად გავამახვილე ჩემს კვლევაში, აქედან გამომდინარე, მომავალში აუცილებლად დავგეგმავ და განვახორციელებ კვლევას და გავითვალისწინებ ამ საკითხებს, კერძოდ კი აუცილებლად ვურჩევ კლასში შემსვლელ კოლეგა მასწავლებლებს, მათაც გამოიყენონ ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც მათ გაიყვანს ეფექტური კითხვის უნარის განვითარებაზე.

4.2. რეფლექსია/კოლეგებთან გაზიარება

2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში განვახორციელე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომელიც მიმდინარეობდა მთელი სემესტრის მანძილზე. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ გავარკვიე მისი გამომწვევი მიზეზები, შევიმუშავე კვლევის სამოქმედო გეგმა, დავსახე გზები აღმოჩენილი პრობლემის აღმოსაფხვრელად, განვახორციელე დაგეგმილი ინტერვენციები და შევიმუშავე რეკომენდაციები მშობლებისა და მასწავლებლებისთვის.

კვლევის დასრულების შემდეგ შეხვედრა მქონდა მასწავლებელთა ჯგუფთან. შედეგების გასაცნობად მოვიწვიე მასწავლებლები და დაწყებითი განათლების კათედრის თავმჯდომარე. მათ გავაცანი ჩემ მიერ აღმოჩენილი პრობლემა და მის აღმოსაფხვრელად შესრულებული ინტერვენციები.

შეხვედრას ესწრებოდნენ ის მასწავლებლებიც (ბუნებისმცოდნეობის და ინგლისურის), რომლებმაც შედიან ამ კლასში. მათ გამოთქვეს სურვილი, რომ მომავალი წლიდან აქტიურად გამოიყენონ ის აქტივობები, რომლებიც ეფექტური კითხვის უნარებზე გაიყვანთ.

დაწყებითი საფეხურის კათედრის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ, მართალია, დაწყებით (1-4 კლ) კლასებში კათედრის წევრი მასწავლებლები გაკვეთილებზე იყენებენ შესაბამის აქტივობებს, მაგრამ არა დიდი სიხშირით, მან თავადაც ჩაატარა კვლევა და გაგვიზიარა საკუთარი გამოცდილებები და მიგნებები, რასაც შემდგომში სწავლებისას ყოველთვის გავითვალისწინებთ.

4.3.კვლევის კალენდარი

№	აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	პრობლემის იდენფიცირება	✓					
2	კვლევის გეგმის შემუშავება	✓					
3	დიაგნოსტიკა/სკრინ ინგი		✓				
4	მოსწავლეთა ანკეტირება/ინტერვი უ		✓				
5	მშობელთა ანკეტირება		✓				
6	მონაცემების ანალიზი			✓			
7	ინტერვენციების შემუშავება			✓			

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ლელა გიგილოშვილი-ჩალათაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში 2018-2019 სასწავლო წელი

8	ინტერვენციების განხორციელება			✓	✓	✓	
9	ინტერვენციების შეფასება და ანალიზი					✓	
10	პრეზენტაცია კოლეგებთან გაზიარება						✓

4.4. ბიბლიოგრაფია

1. ეროვნული სასწავლო გეგმა.2018.ქართული ენის სტანდარტი. მე-2 კლასი .

2. წიგნიერება. ია კუტალაძე

3.საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-pried) მეთოდური ლიტერატურა "კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები) -2015

http://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf

4.საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-pried) დიაგნოსტიკური ტესტები

http://kargiskola.ge/SC/eaccess1.php5

5.საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-pried) სამუშაო ფურცლები

http://kargiskola.ge/teacherintro/workbooks.php

6.,,ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები". მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013. მანანა მელიქიშვილი

7.ქართული 2.მასწავლებლის წიგნი. ნ. გორდელაძე, თ. კუხიაანიძე, ნ. ნაფეტვარიძე, თ. გაბისონია. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2018 წ.

8.კითხვის ეფექტური მეთოდები. (სასწავლო-მეთოდური ფილმი და გზამკვლევი) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

პ. პაპავა, ნ. ნაცვლიშვილი, ნ. მახარობლიძე, მ. მახარობლიძე, ქ. ფიცხელაური

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ლელა გიგილოშვილი-ჩალათაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში 2018-2019 სასწავლო წელი

9.კითხვის ეფექტური მეთოდები 3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2013. ნ. ნაცვლიშვილი, ზ. ქიტიაშვილი.

WWW.TPDC.GE. WWW.MASTSAVLEBELI.GE

დანართი 1.მოსწავლის გამოკითხვის ანკეტა.

მოგესალმებით, ვატარებ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას მე-2 კლაში, ეფექტური კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად, ამიტომ, ძვირფასო მოსწავლე, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი გულწრფელი პასუხი კითხვარის შევსებისას. თითოეული საკითხის ქვეშ შემოხაზეთ მხოლოდ ერთი პასუხი. ანონიმურობა დაცულია. მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

1. გიყვარს თუ არა კითხვა?
   ა) ძალიან მიყვარს
   ბ) მიყვარს
   გ) ნაკლებად მიყვარს
   დ) არ მიყვარს

2. რა სიხშირით კითხულობ?
   ა) ყოველდღე
   ბ) კვირაში ერთხელ
   გ) თვეში ერთხელ

დ) არასოდეს

3. რისი წაკითხვა გიყვარს?
   ა) ლექსების
   ბ) მოთხრობების
   გ) ზღაპრების
   დ) საინფორმაციო ტექსტების

4. შენი აზრით ბევრი წიგნი გაქვს წაკითხული?
   ა) ძალიან ბევრი
   ბ) არც ისე ბევრი
   გ) 1 ან 2 მაქვს წაკითხული
   დ) საერთოდ არ მაქვს წაკითხული

5. გაიხსენე წიგნები, რომლებიც წაგიკითხავს

   ---
6. ახლა რას კითხულობ?

   ---
7. რატომ კითხულობ?
   ა) ჩემს მშობლებს მოსწონთ, რომ ვკითხულობ
   ბ) კითხვა მაძლევს სიამოვნებას
   გ) კითხვით ბევრს ვსწავლობ
   დ) კარგად კითხვა ჩემი მომავლისათვის მჭირდება

8. როგორი მკითხველი ხარ?
   ა) მასწავლებელი მეუბნება, რომ კარგი მკითხველი ვარ
   ბ) ჩემი კლასის სხვა მოსწავლეებთან შედარებით ჩემთვის კითხვა რთულია
   გ) ჩემი კლასის მოსწავლეებთან შედარებით, მე კარგად ვკითხულობ
   დ) საერთოდ არ ვარ კარგი მკითხველი

9. გიკითხავს თუ არა მშობელი წიგნებს?
   ა) ყოველდღე
   ბ) ხშირად
   გ) იშვიათად
   დ) არასოდეს

დანართი 2

მშობელთა გამოკითხვის ანკეტა

თარიღი: ----------
მოსწავლე: ----------
მშობელი: ----------

მოგესალმებით, ვახორციელებ კვლევას მოსწავლეთა ეფექტური კითხვის უნარის გაუმჯობესებისთვის. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ, შემოხაზოთ თქვენი პასუხები ქვემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით. გახსოვდეთ, რომ ყოველივე ეს ხორციელდება მოსწავლის სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. სწორედ ამიტომ, პასუხებში თქვენი გულახდილობა მეტად მნიშვნელოვანია. ანონიმურობა დაცულია. მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

1. რამდენად ჩართული ხართ თქვენი შვილის სასკოლო ცხოვრებაში?
   ა) აქტიურად ვარ ჩართული
   ბ) ნაწილობრივ ვარ ჩართული
   გ) ნაკლებად ვარ ჩართული
   დ) საერთოდ არ ვარ ჩართული

2. ეხმარები თქვენს შვილს კითხვის უნარების გაუმჯობესებაში?
   ა) ყოვედლღე
   ბ) ხშირად
   გ) იშვიათად
   დ) არასოდეს

3. თქვენი შვილი გამოხატავს სურვილს წაუკითხოთ ზღაპარი, მოთხრობა ან ლექსი?

ა) ყოველდღე
ბ) ხშირად
გ) იშვიათად
დ) არასოდეს

4. ოჯახის წევრები უკითხავთ ბავშვს საბავშვო ლიტერატურას?
ა) ყოველდღე
ბ)ხშირად
გ) იშვიათად
დ) არასოდეს

5.კითხულობს თუ არა ხმამაღლა სახლში თქვენი შვილი?
ა)ყოველდღე კითხულობს
ბ)ხანდახან კითხულობს
გ)იშვიათად კითხულობს
დ)არასდროს

6.ჩამოთვალეთ რომელი მოთხრობები წაუკითხეთ /ან წაიკითხა თქვენმა შვილმა ამ სასწავლო წლის განმავლობაში?

7.ახლა რას კითხულობს?

8.საუბრობთ წაკითხულის შესახებ რა მოეწონა, რა არ მოეწონა და რატომ?
ა) ყოველთვის
ბ) ხშირად
გ) იშვიათად
დ) არასოდეს

დანართი 3

ბიბლიოთეკარის გამოკითხვის ანკეტა

მოგესალმებით, ვახორციელებ კვლევას მოსწავლეთა ეფექტური კითხვის უნარის გაუმჯობესებისთვის. ამასთან დაკავშირებით გთხოვთ, შემოხაზოთ თქვენი პასუხები ქვემოთ მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით. გახსოვდეთ, რომ ყოველივე ეს ხორციელდება მოსწავლის სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. სწორედ ამიტომ, პასუხებში თქვენი გულახდილობა მეტად მნიშვნელოვანია. ანონიმურობა დაცულია. მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.

1.დადიან თუ არა მე-2 კლასის მოსწავლეები სასკოლო ბიბლიოთეკაში?

ა)ყოველთვის

ბ)ხანდახან

გ)არასდროს

2.არჩევენ თუ არა ისინი სათანადო ლიტერატურას?

ა)ყოველთვის

ბ)ხანდახან

გ)ძალიან იშვიათად

3.ამოწმებთ კითხულობენ თუ არა მოსწავლეები წიგნებს?

ა)ყოველთვის

ბ)ხანდახან

გ)არასდროს

5. ურჩევთ თქვენ მოსწავლეებს საკითხავ ლიტერატურას თუ ისინი თავად ირჩევენ წიგნებს?

ა)ყოველთვის მე ვურჩევ

ბ)ხანდახან ვურჩევ

გ)არასდროს არ ვურჩევ,

დ)თავად მეუბნებიან რისი წაკითხვა სურთ

დანართი 4. კითხვის კალენდარი

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ლელა გიგილოშვილი-ჩალათაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში 2018-2019 სასწავლო წელი

სიტყვების წაკითხვა

მოსწავლის ფურცელი

ხე	რა	კარი	ჩვენ	მიდის
დილა	მაგიდა	წვიმს	მთვარე	აბაზანა
ვარ	მეტი	გვიან	ფილმი	ახლოს
კარაქი	ადგომა	ცივი	თხოვნა	ავტორი
ზეგ	შავი	ქუჩა	ბარგი	მაღალი
ცელქი	ბოდიში	ახველებს	ჟურნალი	ყურადღებით
მეტი	ჭერი	ყავა	სუფთა	თვითონ
მოტანა	წამალი	გაჩერება	საუზმე	დარეკვა
ბუნება	თვე	აუზი	შაქარი	მწიფე
ლამაზი	ნისლი	ოთხშაბათი	ანდაზა	მღერის
მეტი	ცირკი	საგანი	მარდად	ნაყოფი
ჩახჩახა	კლოუნი	უცნობი	აღწერს	ნებართვა
არაყი	ქერქი	პასუხი	ფრიალა	მნათობი
ჯეჯილი	უნებლიეთ	დრუნჩი	აძვრა	ცეცხლი
ცომი	არსება	მშვიდი	იწერება	დარაჯი
მომავალი	გიზგიზი	ტყემალი	ზოგჯერ	ცარიელი
ნაზად	მეპურე	ჭიშკარი	ულრანი	სამკაული
ჩაკბიჩა	უნაგირი	შხაპუნა	ბორბალი	მისალმება
ფესვი	ათეული	ტრაბახი	წარწერა	შეარჩიე
უთავაზა	მარჯვე	ყუნწი	ხელმწიფე	ზედმეტი
ჯიში	საჭირო	ტყუილი	ბარდნის	მსგავსი
იარაღი	განწყობა	პატიოსანი	სიბრალული	მწყემსი
რატომ	მუქთა	შანდალი	სიძუნწე	მოჭადრაკე
რებუსი	სხვადასხვა	წათვლიმა	განაგრძე	ფოტოაპარატი

156

დანართი 5.სიტყვების წაკითხვა

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის ლელა გიგილოშვილი-ჩალათაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში 2018-2019 სასწავლო წელი

G-PRIED

ტექსტის წაკითხვა

მოსწავლის ფურცელი

სამკაულები

ტყის პირას ლამაზი კედარი იდგა. მისი წიწვები ბროლის წვეთებით მოერთო წვიმას. მალე მზე აჩახჩახდა. კედარი ათასფრად განათდა.

სწორედ ამ ხესთან გაჩნდა ვიღაც კაცი. მწვანე საწვიმარი ეცვა. იდგა და კედარს უყურებდა. ,,ნეტავ რა უნდა?!" - უკვირდათ ტყის ბინადრებს.

კაცი კი იდგა და ეფერებოდა ხეს.

- რა ლამაზი ხარ! ვინ მოგკაზმა? წვიმამ? მადლობა წვიმას! - ჩურჩულებდა იგი.

ნიავმა დაუბერა და კედარი შეარხია.

- წკაპ, წკაპ! - გაისმა წვეთების წკაპუნი. კაცი კედრის ქვეშ დადგა. კარგა ხანს უსმინა წვეთების ლამაზ სიმღერას. მერე თავის გზას გაუდგა.

კედართან ციყვმა, ბაჭიამ, მელიამ მიირბინეს.

- ნეტავ, ვინ იყო? რას უსმენდა? - გაუკვირდათ.

რა იცოდნენ, რომ ეს კაცი კეთილი მეზღაპრე იყო. ჩქარი ნაბიჯებით მიუყვებოდა ბილიკს. თვალწინ ბროლის წიწვები ედგა. ყურში წვეთების სიმღერა ჩაესმოდა. სურდა დროზე მისულიყო შინ. წვიმისგან მორთულ კედარზე ერთი ლამაზი ზღაპარი უნდა დაეწერა.

დანართი 6. ტესტის წაკითხვა

დანართი 7.ფსევდოსიტყვების წაკითხვა

ფსევდოსიტყვების წაკითხვის ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

სუზ	ბივი	ეგუ	დოს	კელ	5
იჯელ	ზიგი	ატინ	სგურ	ილან	10
ათქე	პონუფ	რირხი	გიწმა	კტისე	15
დვატეკ	ხოპიე	ქიცბა	ჩეჰუნ	ბუვუხ	20
ოვროხი	შოდაძა	თიპლან	ლუპრე	გვიზი	25
სნეფურ	დარწამ	ღმიშკელა	პუწედი	ქისკო	30

სწორია: ——— / 30

ფსევდოსიტყვების წაკითხვა

მოსწავლის ფურცელი

სუზ	ბივი	ეგუ	დოს	კელ
იჯელ	ზიგი	ატინ	სგურ	ილან
ათქე	პონუფ	რირხი	გიწმა	კტისე
დვატეკ	ხოპიე	ქიცბა	ჩეჰუნ	ბუვუხ
ოვროხი	შოდაძა	თიპლან	ლუპრე	გვიზი
სნეფურ	დარწამ	ღმიშკელა	პუწედი	ქისკო

დანართი 8.განმეორებითი წაკითხვის აღრიცხვის ფურელი



გამეორებითი წაკითხვის აღრიცხვის ფორმა (გრაფიკი)

მოსწავლე: კლასი: ტექსტი:

100-101					შენიშნვნები და დასკვნები
98-99					
96-97					
94-95					
92-93					
90-91					
88-89					
86-87					
84-85					
82-83					
80-81					
78-79					
76-77					
74-75					
72-73					
70-71					
68-69					
66-67					
64-65					
62-63					
60-61					
58-59					
56-57					
54-55					
52-53					
50-51					
47-49					
46-47					
44-45					
42-43					
40-41					
38-39					
36-37					
34-35					
32-33					
30-31					
28-29					
26-27					
24-25					
23-24					
22-23					
20-21					
18-19					
16-17					
14-15					
12-13					
10-11					
თარიღი					
წაკითხვის რიგითი №					

141